# ნარკოტიკების პრობლემა და სხვა სოციალური პრობლემები

იანუშ შეროსლავსკი
ფსიქიატრიისა და ნევროლოგიის ინსტიტუტი
ვარშავა

თბილისი, 4-6 სექტემბერი 2017 წელი

# სოციალური პრობლემის განმარტება

- ტერმინი "სოციალური პრობლემა" აღნიშნავს სოციალურ პირობებს, პროცესებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც საყოველთაოდ აღიქმება როგორც უარყოფითი და არასასურველი (იამროჟიკი,1998).

- სოციალური პრობლემა არის მოვლენა რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოების ისეთ ღირებულებებს როგორიცაა კანონი და წესრიგი, სოციალური ინტეგრაცია და სოციალური ინსტიტუტების სტაბილურობა. თუმცა ზოგიერთი სოციალური მდგომარეობა რომელსაც ახლა იგნორირებას ვუკეთებთ შეიძლება მომავალში სოციალურ პრობლად გადაიქცეს. ამის ანალოგიურად, ზოგიერთი სოციალური მოვლენა რომელსაც ჩვენ ახლა სოციალურ პრობლემად მივიჩნევთ ადრე ასეთად არ განიხილებოდა. (რუბინგტონი & ვაინბერგი, 2003).

# სოციალური პრობლემის საზოგადოებრივი განმარტება

- სოციალური პრობლემა არის მოვლენა რომელიც საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის მაინც არის მიუღებელი. ყველანი ვთანხმდებით რომ არის ზოგიერთი საყოველთაოდ აღიარებული სოციალური პრობლემა როგორიცაა მაგალითად მკვლელობები და საგზაო ავარიები. სხვა სოციალური პრობლემები შესაძლოა პრობლემად განიხილებოდეს მხოლოდ ადამიანების გარკვეული ჯგუფების მიერ. საზოგადოებრივ პარკში როკ-მუსიკის ხმამაღლა დაკვრაში ახალგაზრდები აშკარად ვერ ხედავენ პრობლემას მაგრამ ზოგიერთმა ადამიანმა ეს შეიძლება ძალზე არასასურველ მდგომარეობად მიიჩნიოს. ზოგიერთი არამწეველი მწეველებისაგან განსხვავებით მიიჩნევს რომ მოწევა საზოგადოებრივ ადგილებში არასასურველი სოციალური მდგომარეობაა რომელიც აკრძალული ან შეზღუდული უნდა იყოს.

# სოციალური პრობლემის განსაზღვრის კრიტერიუმები

- სოციალური პრობლემების გამოვლენისა და განსაზღვრის კრიტერიუმები:
  - საზოგადოების შეშფოთების დონე;
  - გავრცელების დონე;
  - სოციალურ ღირებულებებთან და ნორმებთან შეუსაბამობის დონე.
- ფუნდამენტური კითხვა:
  - სოციალური პრობლემების აღმოჩნა ხდება?
  - თუ მათი კონსტრუირება?

# სოციალური პრობლემის განსაზღვრა

- გარე ობიექტური კრიტერიუმები
  - ობიექტურობის საკითხი - სოციალური ღირებულებები და ნორმები ყოველთვის ჩართულია.
  - ვინ წყვეტს რა არის სოციალური პრობლემა?

- სუბიექტური კრიტერიუმები შეხედულებათა ჩამომყალიბებელი წრეების მიხედვით (კონსტრუქტივიზმი)
  - სოციალური პრობლემები ყოველთვის საზოგადოებრივად არის განსაზღვრული.
  - პოლიტიკოსებისა და შეხედულებათა ჩამომყალიბებელი წრეების როლი.
  - ღია სივრცე სფერო სოციალური ინჟინერიისა და მანიპულირებისთვის.
  - მედიის როლი.

# სოციალური პრობლემების მაგალითები

- სიღატაკე;
- ეკონომიკური ჩამორჩენილობა;
- ნარკომანია;
- უმუშევრობა;
- ანტისოციალური ქცევები;
- დამნაშავეობა;
- ალკოჰოლიზმი;
- ინფექციური დაავადებები;
- სექსუალური ძალადობა;
- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები.

# ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენების პრობლემა, როგორც ერთ-ერთი სოციალური პრობლემა

- ალკოჰოლის მოხმარება ან ბოროტად გამოყენება, ნარკოტიკების მოხმარება ან ბოროტად გამოყენება, თამბაქოს მოწევა;
- საზოგადოების ტოლერანტობის დონე;
- პრობლემური ნივთიერებების ნუსხა ცვალებადია დროთა განმავლობაში დიფერენცირებული კულტურული კონტექსტით
  - ცვალებადია დროში;
  - განსხვავებულია კულტურულ კონტექსტში;
  - ყოველთვის არ ეფუძნება ობიექტურ სამეცნიერო მტკიცებულებებს;
- რა არის უნივერსალური და რა არის კულტურული კონტექსტი?

# კავშირი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენების პრობლემასა და სხვა სოციალურ პრობლემებს შორის

- კავშირის დონეები:
  - ინდივიდუალური,
  - სათემო,
  - ეროვნული,
  - საერთაშორისო (უნივერსალური).
- ფსიქოაქტიური ნივთიერების გამოყენება როგორც:
  - სხვა პრობლემების გამომწვევი;
  - სხვა პრობლემების შედეგი;
  - ფსიქოაქტიური ნივთიერების გამოყენების პრობლემისა და სხვა პრობლემების საერთო მიზეზი.